

**წლიური ანგარიში  
ხარისხობრივი ინფორმაციის გამჟღავნება 2017 წლისათვის  
სს „სილქ როუდ ბანკი“**

**კორპორაციული მართვა**

ბანკის საწესდებო კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) ლარს და დაყოფილი იყო 300 000 (სამასი ათასი) ცალ ჩვეულებრივი ტიპის სახელობით აქციად. ბანკის თვითოეული ჩვეულებრივი სახელობითი აქციის ნომინალური ღირებულებაა 100 (ასი) ლარი. ბანკის აქციების 99,99%-ის მფლობელია სს „სილქ როუდ საფინანსო ჯგუფი“. ბანკის აქციების 5% ან მეტი წილის მფლობელ ბენეფიციარებს წარმოადგენენ:

1	ურანუს ჰოლდინგს (მალტა) ლიმიტედ (C67480)	99,99%
1,1	გიორგი რამიშვილი	61,99%
1,2	ალექსი თოფურია	28,50%
1,3	დევიდ ფრანკ ბორგერი, გერმანია	9,50%

**ბანკის მართვის ორგანოებია:**

ა) ბანკის უმაღლესი მმართველობითი ორგანო: - აქციონერთა საერთო კრება:  
 აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს გადაწყვეტილებების მიღებას უმაღლეს ორგანოს ბანკში. აქციონერთა საერთო კრება აწარმოებს ორი სახის სხდომებს: აქციონერთა საერთო კრების მორიგი სხდომა და აქციონერთა საერთო კრების რიგგარეშე სხდომა. ჩვეულებრივი სახელობითი აქციების მფლობელ ნებისმიერ აქციონერს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აქციონერთა კრების სხდომაზე.

აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია:

- მიიღოს ნებისმიერი ცვლილებები ბანკის წესდებაში, შეცვალოს ბანკის საწესდებო კაპიტალი, ბანკის საფირმო სახელწოდება; ბანკის იურიდიული მისამართი. გადაწყვიტოს მისი რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის საკითხი;

აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან. დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭოს დადგენილებები და გადაწყვეტილებები. დაამტკიცოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში. დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭოს დებულება. აირჩიოს დამოუკიდებელი აუდიტორი ყოველწლიურად აუდიტორული შემოწმების ჩატარების მიზნით;

ბ) ბანკის საერთო ხელმძღვანელობით/მაკონტროლებელი და საზედაშედეგო ორგანო - სამეთვალყურეო საბჭო:

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა ხდება აქციონერთა კრებაზე მათი განათლების და პროფესიონალიზმის გათვალისწინებით. ამ ეტაპზე შემუშავების პროცესშია შიდა პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შერჩევას და მათი დამოუკიდებლად მიჩნევის არგუმენტებს.

1. ვასილ კენკიშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, სხვადასხვა დროს მიღებული აქვს განათლება ამერიკული უნივერსიტეტის ვაშინგტონის სამართალმცოდნეობის კოლეჯში, საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე. 2004 წლიდან დღემდე მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე შპს „საქართველოს რეინიგ ზამი“ და შპს „ესარჯი ინვესტმენტში“

2. გიორგი მარტი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სხვადასხვა დროს მიღებული აქვს განათლება: ESM - თბილისი, მოსბახის აკადემია, გერმანია, INSEAD, ფონტენბლო და სინგაპური, მაგისტრი ბიზნეს ადმინისტრირების განხრით. 2006 წლიდან დღემდე მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე შემდეგ ორგანიზაციებში: შპს „ესარჯი ინვესტმენტი“, Price Waterhouse Cooper Moscow და შპს „თისიპი მენეჯმენტი“;

3. მამუკა შურღაია - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, განათლება: კავკასიის ბიზნესის სკოლის ფინანსების ფაკულტეტი, 2006 წლიდან დღემდე მუშაობდა შემდეგ ორგანიზაციებში: შპს "ესარჯი ინვესტმენტი" და Ernst & Young Ltd თბილისი;
4. დევიდ ფრანკ ბორგერი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - სხვადასხვა დროს მიღებული აქვს განათლება: ლონდონის ეკონომიკის სკოლა, გაერთიანებული სამეფო, ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი (PhD) ბუღალტერიასა და ფინანსებში, ვიტენის/ვერდვის უნივერსიტეტი, გერმანია, ბიზნეს ეკონომიკის კურსი, 2006 წლიდან დღემდე მუშაობდა შემდეგ ორგანიზაციებში: შპს „სილქ როუდ სერვისი“, შპს "ტერაკოტა გრუფ", ბოსტონის კონსალტინგური ჯგუფი, მიუნხენი, გერმანია, ლონდონის ეკონომიკის სკოლა, გაერთიანებული სამეფო.

სამეთვალყურეო საბჭო თავისი ექსპლუზიური კომპეტენციის ფარგლებში:

- განსაზღვრავს ბანკის ბიზნეს პოლიტიკას, იღებს და ამტკიცებს პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს, ამტკიცებს, ბანკის დირექტორატის მიერ წარმოდგენილ ღონისძიებებს (საქმიანობის), რეკომენდაციებს წლიურ გეგმას (წლიური საოპერაციო ბიუჯეტის ჩათვლით), აზრადებს აქციონერთა საერთო კრებისათვის, ასრულებს აქციონერთა საერთო კრების მითითებებს.

- ამტკიცებს დირექტორატის (დირექტორებ)ს წევრებს, გენერალური დირექტორის ჩათვლით; აკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკებს და პროცედურებს.

- განიხილავს და ამტკიცებს ფინანსური წლის განმავლობაში დირექტორატის მიერ წარმოდგენილ ბიზნეს ოპერაციების ანგარიშებს და აზრადებს აქციონერთა საერთო კრებაზე წარსადგენ ბანკის წლიურ ანგარიშს, კონტროლს უწევს ბანკის დირექტორატის საქმიანობას.

- იღებს გადაწყვეტილებებს ახალი სახის საბანკო საქმიანობის დაწყებაზე ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტაზე; იღებს გადაწყვეტილებას უძრავი ქონების შეძენის, გასხვისების ან უფლებრივად დატვირთვის შესახებ;

- წესდების თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. 2017 წლის განმავლობაში 27-ჯერ ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, რომლებშიც მონაწილეობას იღებდა სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრი. სხდომებზე განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორცაა ფილიალის გაუქმება, თანამშრომელთა მატერიალური წახალისება, იჯარის ხელშეკრულებების ვადის გაგრძელება, ბანკის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების გასხვისება, გადაწყვეტილება საბანკო ლიცენზიის ფარგლებში საბროკერო საქმიანობის დაწყების შესახებ, ბანკის დირექტორატის შემადგენლობაში ცვლილების შეტანა, Silkloan სასესხო პროდუქტის განვითარება და მისი ცნობადობის ზრდა სარეკლამო აქტივობების ჩატარების კუთხით, სს „სილქ როუდ ბანკის“ მიერ სუბორდინირებული სესხის მოზიდვა და ა.შ.

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა თავისი უფლებების განხორციელებისას და თავისი მოვალეობების შესრულებისას უნდა იმოქმედონ ბანკის სტაბილურობის ინტერესების გათვალისწინებით, კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ ბანკისადმი დაკისრებული ამოცანები.

- სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს ბანკის ინტერესებს. ისინი საქმეს უნდა მიუდგნენ გონიერულად და დამოუკიდებლად.

შემუშავების პროცესშია სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული აუდიტის კომიტეტის მუშაობის მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტი.

გბანკის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი ორგანო - დირექტორატი (დირექტორები). ბანკის დირექტორატის წევრების არჩევა ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მათი განათლების და პროფესიონალიზმის გათვალისწინებით.

ბანკის დირექტორატის წევრები არიან:

- გენერალური დირექტორი ალექსანდრე მნელაძე, კონტროლს დაქვემდებარებული მმართველები ბანკში: ფინანსური დირექტორი, რისკების დირექტორი, კორპორატიული სამდივნო, შიდა აუდიტის სამსახური, კორპორატიული, მცირე და საშუალო ბიზნესის დეპარტამენტი, საცალო სესხების დეპარტამენტი, საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება, უსაფრთხოების სამსახური,

ადამიანთა რესურსების სამსახური, ადმინისტრაცია. - სხვადასხვა დროს მიღებული აქვს განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში, USAID-ის წვრილი და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის პროექტებისა და საბანკო-საფინანსო აკადემიაში. 2005-2010 წ.წ. მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე სს „ინტელექტბანკში“ და სს „ბითივი ბანკში“; ფინანსური დირექტორი ნათია მერაბიშვილი, კონტროლს დაქვემდებარებული მიმართულებები ბანკში: საოპერაციო დეპარტამენტი, ცენტრალური ბექ.ოფისი, ქოლ ცენტრი, ცენტრალური ფილიალი, ფოთის წარმომადგენლობა, ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების დეპარტამენტი, ლოჯისტიკა, ხაზინა. სხვადასხვა დროს მიღებული აქვს განათლება: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაკროეკონომიკის ფაკულტეტი, ფერარას უნივერსიტეტი - იტალია, სერტიფიცირებულ და კორპორატიულ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ტრენინგები პროფესიონალი ბუღალტრებისთვის. 2007-2011 წლებში მუშაობდა სს ბითივი ბანკში სხ.სხ. ხელმძღვანელ თანამდებობებზე;

3. რისკების დირექტორი გიორგი ღებრაძე, კონტროლს დაქვემდებარებული მიმართულებები ბანკში: რისკების მართვის დეპარტამენტი, ქონების შეფასების ჯგუფი, სასამართლო სააღსრულებო განყოფილება, იურიდიული განყოფილება. განათლება: თბილისის საერო უნივერსიტეტი „გენათი“, მაგისტრი სამართალმცოდნეობის განხრით. 2006 წლიდან 2017 წლის ჩათვლით მუშაობდა შემდეგ ორგანიზაციებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე: სს „კახეთის ენერჯოდისტრიბუცია“, სს „საქართველოს სახალხო ბანკი“, სს ბითივი ბანკი“, სს „სილქ როუდ ბანკი“. ბანკის დირექტორატი (დირექტორი) თავის კომპეტენციის ფარგლებში: - სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული ბიზნეს-პოლიტიკის, წესდების, შიდა საბანკო დიკუმენტების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის დირექტორატი მართავს და ახორციელებს ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას.

აშზაფებს ბანკის წლიურ ბიზნეს გეგმას. სამსახურობრივ პოზიციებზე ნიშნავს ანდა ათავისუფლებს ბანკის თანამშრომლებს. ბანკის საქმიანობის ორგანიზების მიზნით ამტკიცებს ბანკის შიდა დოკუმენტებს. ამტკიცებს ბანკისთვის ფინანსური რესურსების მოზიდვის და განთავსების პოლიტიკას, ბანკის შინაგანაწესს. ამტკიცებს ბანკის შიდა სტრუქტურული ერთეულების შესახებ დებულებებს და თანამდებობრივ ინსტრუქციებს.

იღებს გადაწყვეტილებებს: საქართველოს ტერიტორიაზე ბანკის სტრუქტურული ერთეულების - განყოფილებების / სერვის-ცენტრების / კვანძგარეთა სალაროების დამატებითი ოფისების, ვალუტის გაცვლის პუნქტების და სხვა შიდა ქვეგანყოფილებების (ბანკის ფილიალების და წარმომადგენლობების გარდა) გახსნის და დახურვის შესახებ;

განიხილავს შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ პერიოდული შეფასების მასალებს და შედეგებს; სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დრო და დრო დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად აშზაფებს ყოველთვიურ ანგარიშებს;

ახორციელებს ბანკის ბიზნეს ოპერაციების მართვას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული პოლიტიკის ან ბანკის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად; მოქმედი კანონმდებლობის დაცვით საქართველოს ეროვნულ ბანკს, ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და შესაბამის ორგანოებს აწვდის შესაბამის ინფორმაციას.

აღმასრულებელი დონის კომიტეტები:

ა) აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი,

ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ბანკის აქტივებისა და პასივების ეფექტური მართვის პროცესის განსაზღვრა.

საბანკო პროდუქტების რენტაბელობის, მათზე საბაზრო პირობებისა და ბანკის კლიენტების მოთხოვნების შესაბამისი განაკვეთებისა და ტარიფების დადგენის მოქნილი და ეფექტური სისტემის ფორმირება.

ადეკვატური დონის ლიკვიდობის შენარჩუნების, პრუდენციული ნორმატივებისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულებისა და საბაზრო რისკების მინიმიზაციის პირობებში ბანკის საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლების ზრდაზე მიმართული

აქტიური და პასიური ოპერაციების საერთო ქვევის განსაზღვრა.  
რისკსა და შემოსავლიანობას შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევის მიზნით  
ფინანსური რისკების კომპლექსური მართვა, ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაცია  
რისკების მართვის სფეროში.

ფინანსური რისკების კონსოლიდირებული მონიტორინგი (ლიკვიდობის, საპროცენტო და  
სავალუტო რისკი).

პრუდენციული ნორმატივებისა და კაპიტალისადმი მოთხოვნების შესრულების კონტროლი.

#### ბ) საკრედიტო კომიტეტები

ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

რეგლამენტით, დებულებით და პროცედურით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში, ბანკის  
კლიენტების საბანკო საკრედიტო პროდუქტებით მომსახურებაზე გადაწყვეტილების მიღება,  
ინდივიდუალური და ჯგუფური დაკრედიტების პროცესის ორგანიზება და წარმართვა,  
საკრედიტო პროდუქტებთან დაკავშირებული კონკრეტული სამოქმედო გეგმების დასახვა,  
კომიტეტზე განსახილველ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება და მიღებული  
გადაწყვეტილებების აღსრულებაზე კონტროლი.

#### გ) პროცედურული კომიტეტი

ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

კომიტეტის მიზანია დირექტორთა საბჭოსთან შეთანხმებული ხედვებიდან და გეგმებიდან  
გამომდინარე ნორმატიული ბაზის შექმნისა და განახლების მეშვეობით ბანკში მიმდინარე ბიზნეს-  
პროცესების ორგანიზება, სტრუქტურირება, ოპტიმიზაცია.

- გამოავლინოს ბანკში მიმდინარე ბიზნეს-პროცესები, რომლებიც ბანკის შიდა ნორმატიული

დოკუმენტების რეგულირების მიღმა დარჩენილი და შექმნას მათი მარეგულირებელი  
პროცედურები.

- აწარმოოს წარმოებული კატეგორიის შიდა ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების  
ცვლილებების და დამატებების შეტანის პროცესის ადმინისტრირება;

- დაამტკიცოს წარმოებული კატეგორიის შიდა ნორმატიული დოკუმენტები;

- უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების დროული და ხარისხიანი აღსრულება.

- კომიტეტის დებულებას, მის რეგლამენტს და ამ დოკუმენტებში შემავალ ცვლილებებსა და  
დამატებებს ამტკიცებს ბანკის დირექტორთა საბჭო;


#### რისკების მართვა

ძირითადი რისკები რომლის წინაშეც სილქროუდ ბანკი დგას მოიცავს - საკრედიტო რისკს,  
ლიკვიდურობის და საბაზრო რისკებს (საპროცენტო და სავალუტო რისკების ჩათვლით) და  
საოპერაციო რისკს. ასევე ბანკი აცნობიერებს რეპუტაციის და შესაბამისობის რისკების  
არსებობას.

რისკების მართვის პროცესმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი: რისკების მართვის გამჭვირვალე  
პროცესის მიღწევა და შედეგად ნდობის მოპოვება დაინტერესებული მხარეებისგან, ბანკის  
შენარჩუნებადი ზრდის ტემპი მაღალი გამძლეობის და ადეკვატური რისკების მართვის  
პირობებში, ბანკის სტრატეგიის განხორციელების საშუალება, რისკების მართვის წარმოჩენა  
როგორც კონკრეტული უპირატესობა ბანკისთვის.

რისკების მართვის პოლიტიკა თითოეული მიმართულებით მტკიცდება სამეთვალყურეო  
საბჭოზე და გადაიხედება მინიმუმ წელიწადში ერთხელ.

სტრუქტურულად, ყოველდღიური რისკების მართვის ფუნქცია დამოუკიდებელია და ექვემდებარება რისკების მართვის დირექტორს.



**საკრედიტო რისკი** - ბანკისთვის ყველაზე მატერიალური რისკის ტიპია და გამოიხატება დანაკარგში რაც გამოწვეულია ბანკის მიმართ არსებული დავალიანების გადაუხდელობით. ბანკი ძირითადად დაკავებულია ტრადიციული სახის გასესხებით და აქვს მარტივი ბალანსის სტრუქტურა. ბანკის საკრედიტო რისკის კონტროლს ახორციელებს საკრედიტო რისკების განყოფილება და გადაწყვეტილებები მიიღება საკრედიტო კომიტეტზე, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბანკის დირექტორები. შიდა პოლიტიკით და ეროვნული ბანკის რისკების პოლიტიკის შესაბამისად გარკვეული საკრედიტო გადაწყვეტილებები მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

**ლიკვიდობის რისკი** - ლიკვიდობის რისკი საბანკო საქმიანობის თანმდევეა. ბანკი ნაკლებად დგას ბაზრის ლიკვიდობის რისკთან რადგან არ არის აქტიურად ჩართული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობით. დაფინანსების რისკის მხრივ ბანკი მუდმივად ცდილობს შეინარჩუნოს მაღალი ლიკვიდობის დონე. ყოველდღიურ ლიკვიდობას მართავს ბანკის განყოფილება.

**საბაზრო რისკები** - ბანკს არ გააჩნია სავაჭრო პორტფელი და არ არის ჩართული სპეკულაციურ საქმიანობაში. შესაბამისად მის წინაშე დგას ძირითადად საპროცენტო და სავალუტო რისკები რაც გამოწვეულია ტრადიციული საბანკო საქმიანობით.

**საპროცენტო რისკი** - ბანკის წინაშე დგას ტრადიციული საბანკოს საქმიანობით გამოწვეული საპროცენტო რისკი რაც დაკავშირებულია აქტივების და ვალდებულებების შესაძლო შეუთავსებლობით გადაფასების ვადიანობების მიხედვით. საპროცენტო რისკების

ყოველდღიურ მართვას ახორციელებს ხაზინა აქტივე აქტივების და ვალდებულების კომიტეტის (ალკო) მიერ დადგენილი ჩარჩოს შესაბამისად.

**სავალუტო რისკი** - ბანკი აცნობიერებს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული აქტივების და ვალდებულების გადაფასებით მიღებული დანაკარგის რისკს. ბანკის სტრატეგია სავალუტო რისკთან მიმართებაში არის რომ არ ჩაერთოს სპეკულაციურ საქმიანობაში ღია სავალუტო პოზიციის მეშვეობით. ყოველდღიურ სავალუტო რისკის პოზიციის მართვას ახორციელებს ხაზინა აქტივების და ვალდებულების კომიტეტის (ალკო) მიერ დადგენილი ჩარჩოს შესაბამისად.

**საოპერაციო რისკი** - ბანკი აცნობიერებს შესაძლო დანაკარგებს რაც გამოწვეულია არაადეკვატური და გაუმართავი პროცესების შედეგად, ასევე გამოწვეული თანამშრომლების, სისტემების ან გარე მოვლენების შედეგად. ეს ასევე მოიცავს იურიდიულ რისკებსაც. საოპერაციო რისკების კონტროლი ხორციელდება საოპერაციო რისკების განყოფილების მიერ რომელიც შედის რისკების მართვის დეპარტამენტში.

**რეპუტაციის რისკი** - წარმოადგენს ბანკისთვის შესაძლო რეპუტაციული კაპიტალის დანაკარგს და ზოგადად ორგანიზაციის ღირებულების შემცირებას. იგი მოიცავს უარყოფით მოვლენებს დაკავშირებულს ეთიკასთან უსაფრთხოებასთან, ხარისხთან და ინოვაციასთან.

**შესაბამისობის რისკი** - ბანკი ექვემდებარება ადგილობრივ რეგულაციებს და შესაბამისად დიდ ყურადღებას უთმობს შესაბამისობის რისკს. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო უმაღლეს პრიორიტეტულობას ანიჭებს შესაბამისობის დაცვას მუდვივ რეჟიმში და სამომავლო შესაძლო რეგულაციებისთვის წინასწარ მზადებას.

ფინანსური დირექტორი

სს „სილქ როუდ ბანკი“



ნ.მერაბიშვილი